საინფორმაციო ტექსტის გაგება-გააზრება

დაკვირვებით წაიკითხე ტექსტი და უპასუხე შეკითხვებს.

ყველასათვის საყვარელი კოკა-კოლა

კოკა-კოლა დღეს ერთ-ერთი ყველასათვის საყვარელი სასმელია. ამ უალკოჰოლო სასმელის კომპანიის ისტორია 1886 წლის 8 მაისს ამერიკის ქალაქ ატლანტაში იწყება. სასმელი შექმნა მოყვარულმა ქიმიკოსმა ჯონ პემბერტონმა. იგი ყოფილი ამერიკელი კავალერისტი იყო. მას შემდეგ, რაც სამსახურის გარეშე დარჩა, კაპიტანი იძულებული გახდა, თავის სარჩენად რამე მოეფიქრებინა. ის ახალგაზრდობაში გატაცებული იყო ქიმიური ცდებით. და აი, ჯონმა თავისი ჰობი გაიხსენა და ატლანტაში პატარა ფარმაცევტული კომპანიის გახსნა გადაწყვიტა.

ერთ მშვენიერ დღეს (1886 წლის 8 მაისს) ჯონ პემბერტონმა თავისი რეცეპტით მოხარშა ახალი სიროფი. მას საოცარი გემო ჰქონდა. ამ აღმოჩენის გასაცნობად დაუძახა ფრენკ რობინსონს, თავის მეგობარსა და კომპანიის ბუღალტერს. მასაც ძალიან მოეწონა ტკბილი სიროფი და ჯონს რეცეპტის ჩაწერა ურჩია. ძირითადი ინგრედიენტები (შემადგენელი ნაწილები) იყო სამი წილი კოკის ფოთლები და ერთი წილი ტროპიკული ხის – კოლის ნაყოფი. სასმელს, პემბერტონის თქმით, სამკურნალო დანიშნულება ჰქონდა. კერძოდ, ამ პრეპარატის მიღება რეკომენდებული იყო ყველა სახის ნერვული აშლილობის დროს. ჯონმა თავისი გამოგონება გასაყიდად მიუტანა ქალაქში ყველაზე დიდ აფთიაქს. სიროფი იმავე დღეს გაიყიდა, ჭიქა 5 ცენტად. ცოტა ხანში აფთიაქის გამყიდველებმა სიროფში გაზიანი წყალი შეურიეს. მთელი წლის განმავლობაში მას ყოველდღე საშუალოდ სულ 9 ადამიანი ყიდულობდა. ასე რომ, ახალმა სიროფმა ჯონ პემბერტონს ვერც პოპულარობა მოუტანა და ვერც შემოსავალი.

დასახელება **კოკა-კოლა** ეკუთვნის ჯონის მეგობარს, ფრენკ რობინსონს. მანვე შექმნა წარწერის შრიფტი, რომელიც დღემდეა შენარჩუნებული. ჯონ პემბერტონმა ვერ განსაზღვრა ამ სასმელის მომავალი წარმატება. მან გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე თავისი საქმე რამდენიმე პარტნიორს მიჰყიდა.

მე-19 საუკუნის 90-იან წლებში ატლანტაში გამოჩნდა ირლანდიელი ღარიბი ემიგრანტი აზა კენდლერი. მართალია, ჯიბეში მხოლოდ დოლარი და 75 ცენტი

LIVEWORKSHEETS

ედო, მაგრამ ჰქონდა მომავლის დიდი რწმენა. მან განსაკუთრებული კომერციული ნიჭის წყალობით მოახერხა გარკვეული კაპიტალის დაგროვება. კენდლერმა **კოკა-კოლის** რეცეპტი შეისყიდა. 1893 წლის 31 იანვარს ჯორჯიის შტატში ძმასა და ორ კომპანიონთან ერთად დააფუძნა კომპანია სახელწოდებით – **„ზ კოკა-კოლა ქომფანი“.** ამგვარად, სასმელი **კოკა-კოლა** შექმნა პემბერტონმა, ხოლო აზა კენდლერმა კომპანია **„კოკა-კოლა“** დააარსა.

კომპანიის სარეკლამოდ აზა კენდლერმა იმ დროისთვის არსებულ ახალ ფორმებს მიმართა. მაგალითად, ფოსტის საშუალებით სასმელის უფასო პორციების მისაღებად აგზავნიდა კუპონებს და კომპანიის სავაჭრო ნიშნის გამოსახულებიან სუვენირებს. ამ აქციამ კომპანიას განუზომლად დიდი პოპულარობა მოუტანა. სასმელი ძალიან მოდური გახდა, კომპანიის ლოგო კი - ყველასათვის ცნობადი. იგი იბეჭდებოდა მოდური ჟურნალების გარეკანებზე, უზარმაზარ პლაკატებსა და ა.შ.

1919 წელს აზა კენდლერმა კომპანია 25 მილიონ დოლარად მიჰყიდა ბანკირ ერნესტ ბუდრაფს.

1928 წელს ამსტერდამის ოლიმპიურ თამაშებზე ამერიკის ნაკრებმა ჩაიტანა 1000 ყუთი (ყუთში იყო 6 ბოთლი) **კოკა-კოლა.** ამის შემდეგ ეს სასმელი გახდა ოლიმპიური და სხვა საერთაშორისო სპორტული თამაშების სისტემატური სპონსორი.

1931 წელს კომპანიამ ამერიკელ მხატვარს ჰადონ სუნდბლომს შეუკვეთა თეთრ-წითელი ფერის სანტა კლაუსის კოსტუმი. მანამდე სანტა კლაუსი იცვამდა სხვადასხვა ფერისა და ფორმის ტანისამოსს. მხატვარმა ბევრი ფიქრის შემდეგ სანტას სახედ ავტოპორტრეტი დახატა. აქედან მოყოლებული დღემდე გამოირჩევა კოკა-კოლისა და სანტა კლაუსის საახალწლო სარეკლამო რგოლი.

1960 წელს დაიწყო სასმელის ქილებში ჩამოსხმა. 1977 წლიდან კი **კოკა-კოლა** 2-ლიტრიანი პლასტიკური ბოთლებით გამოდის.

ამჟამად ორასზე მეტ ქვეყანაში საშუალოდ 1 მილიარდი ბოთლი **კოკა-კოლა** იყიდება დღეში.

LIVEWORKSHEETS

წაიკითხე შეკითხვები. შეარჩიე სწორი პასუხი და შემოხაზე შესაბამისი ასო (ა, ბ ან გ).

1. **რამ შეუწყო ხელი იმას, რომ უსამსახუროდ დარჩენილმა ჯონმა სწორედ ფარმაცევტული კომპანია გახსნა?**

ა) ის ახალგაზრდობიდან მოყვარული ქიმიკოსი იყო.
ბ) იცოდა, მისი პრეპარატი აფთიაქში კარგად გაიყიდებოდა.
გ) უახლოესმა მეგობარმა ფრენკ რობინსონმა ურჩია.

2. **რას ვიგებთ ტექსტის მეორე აბზაციდან?**

ა) რატომ შეურიეს სიროფს გაზიანი წყალი.
ბ) რისგან არის დამზადებული კოკა-კოლა.
გ) როდის გახდა კოკა-კოლა პოპულარული სასმელი.

3. **რის მიხედვით დაერქვა სასმელს კოკა-კოლა?**

ა) ამ სასმელის გამომგონებლის სახელის მიხედვით.
ბ) კომპანიის სახელწოდების მიხედვით.
გ) მისი შემადგენელი ინგრედიენტების მიხედვით.

4. **რატომ გაყიდა ჯონ პემბერტონმა თავისი საქმე?**

ა) ანგარიში გაუწია თავისი პარტნიორების სურვილს.
ბ) არ იყო დარწმუნებული სასმელის მომავალ წარმატებაში.
გ) სურდა გარდაცვალების შემდეგ ეს საქმე გაგრძელებულიყო.

5. **რა უკავშირდება ფრენკ რობინსონის სახელს?**

ა) სასმელის კომპანიის შექმნა.
ბ) სასმელის სახელწოდების შექმნა.
გ) უშუალოდ სასმელის შექმნა.

6. **რისი წყალობით მოახერხა აზა კენდლერმა კაპიტალის დაგროვება?**

ა) მას გამართლების დიდი რწმენა ჰქონდა.
ბ) მას გამორჩეული კომერციული ნიჭი ჰქონდა.
გ) მას ძმა და რამდენიმე კომპანიონი დაეხმარა.

LIVEWORKSHEETS

7. **რამ მოუტანა კომპანიას განუზომლად დიდი პოპულარობა თავდაპირველად?**

ა) კომპანიის სავაჭრო ნიშნის გამოსახულებიანმა სუვენირების აქციამ.
ბ) მოდური ჟურნალების გარეკანებზე კომპანიის ლოგოს დაბეჭდვამ.
გ) ოლიმპიური და სხვა საერთაშორისო სპორტული თამაშების სპონსორობამ.

8. **რა მეტყველებს კოკა-კოლის პოპულარობაზე?**

ა) 1960 წელს დაიწყო სასმელის ქილებში ჩამოსხმა.
ბ) ის 2-ლიტრიანი პლასტიკური ბოთლებით იყიდება.
გ) მასზე მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში დიდი მოთხოვნაა.

LIVEWORKSHEETS